


ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვა 0270



- სიტუაციური სახელმძღვანელო არ ეხება ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს
- ფაქტობრივ გარემოებებში იგულისხმება, რომ პირი აღებულ სესხს სრულად იყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში, ამასთან არ აქვს მიღებული მოგების/საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავლები და პროცენტის ხარჯის გამოქვითვაზე არ ვრცელდება სსკ-ით დადგენილი სხვა შეზღუდვები
- სახელმძღვანელო შემუშავებულია 2018 წლის 10 აპრილისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით
- სსკ-ის 142-ე მუხლი ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან

ანოტაცია

„ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვა N 0270“ სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, რეზიდენტმა პირმა, რომელიც იყენებს დარიცხვის მეთოდს, 2015 წელს დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირისაგან აიღო სესხი უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი ვალდებულებების, როგორც დაუბრუნებელი სესხის ძირითადი თანხის, ასევე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის გადაფასებით მიღებული ზარალი ასახა გადაფასების საანგარიშო პერიოდის მოგების/საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში.

სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პირი იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გადახდა თავის თავში მოიაზრებს როგორც მომსახურების გაწევასთან, ასევე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საკომპენსაციო თანხის გადახდას.

სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება არ განეკუთვნება არც მომსახურების გაწევის და არც საქონლის მიწოდების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს. შესაბამისად, დაუბრუნებელი სესხის ძირითადი თანხის გადაფასების შედეგად წარმოშობილი ზარალის გამოქვითვასთან მიმართებაში არ გავრცელდება სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და აღნიშნული ზარალი აისახება იმ საანგარიშო პერიოდის საგადასახადო ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშვა, იმის მიუხედავად, დაბრუნებული არის თუ არა სესხის ძირითადი თანხა.

სესხის მომსახურებაზე დარიცხული პროცენტის გადაფასების შედეგი წარმოადგენს მომსახურების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს. შესაბამისად, დარიცხული პროცენტის გადაფასების შედეგად წარმოშობილი ზარალი აისახება იმ საანგარიშო პერიოდის საგადასახადო ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება ამ პროცენტის გადახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაკორექტირდება შესაბამისი გამოქვითვები პროცენტის გადაფასებით მიღებული ზარალის ნაწილში. დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში მოცემული ფაქტობრივი გარემოების ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული N2524 სიტუაციური სახელმძღვანელო - „არარეზიდენტის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი“, რომლის შეფასებით ნაწილშიც აღნიშნულია, რომ სესხის ძირითადი თანხის გადაფასების შედეგი არ წარმოადგენს მომსახურების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.